სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის
თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

MES 1 23 0000952997

01/08/2023

საჯარო სამართლის იურიდიული პირი იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება

სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის ,34-ე და 35-ე მუხლების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 3 სექტემბრის N 122/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის–იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-14 მუხლის მე-8 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 26-ე და 27-ე მუხლების,უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ 2014 წლის 30 მაისს დამტკიცებული (ოქმი №15) „აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების ერთიანი წესის“ შესახებ დებულების მე-4 მუხლის 4.2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის უნივერსიტეტთან აფილირების წესი“-ს საფუძველზე (დამტკიცებულია თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2017 წლის 22 მაისის სხდომაზე, ოქმი #16), ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის შორენა ლაზვიაშვილის სამსახურებრივი ბარათის (31/07/2023 წ; N946760), სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტის დეკანის თამარ თამარაშვილის სამსახურებრივი ბარათის (31/07/2023 წ; N944087), აგრარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის ლევან შავაძის სამსახურებრივი ბარათის (31/07/2023 წ; N944918) და უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2023 წლის 31 ივლისის N13 ოქმის N4 საოქმო დადგენილების საფუძველზე:

ვბრძანებ:

1.გამოცხადდეს კონკურსი აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად, მიმდინარე წლის 2 აგვისტოდან, სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფაკულტეტებზე შემდეგი მიმართულებებით:

- **ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი:**

- ინგლისური ენის მიმართულებით -- ასოცირებული პროფესორის 1 საშტატო ერთეული (აფილირებული), 6 წლით;

- საზღვარგარეთის ლიტერატურის მიმართულებით -- ასოცირებული პროფესორის 1 საშტატო ერთეული (აფილირებული), 6 წლით.

- **სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტი:**

- ინგლისური ენის მიმართულებით -- ასოცირებული პროფესორის 1 საშტატო ერთეული (აფილირებული), 6 წლით;

- **აგრარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი:**

- ინგლისური ენის მიმართულებით -- ასოცირებული პროფესორის 1 საშტატო ერთეული (აფილირებული), 6 წლით;

2.კონკურსში მონაწილე კანდიდატთა მონაცემების შეფასება განხორციელდება თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ 2014 წლის 30 მაისს დამტკიცებული (ოქმი N15) „აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების ერთიანი წესის შესახებ დებულების“ მიხედვით;
3.კონკურსში მონაწილეთა რეგისტრაცია (საბუთების მიღება) დაიწყოს 2023 წლის 4 სექტემბერს 10:00 საათზე და დასრულდეს 2023 წლის 8 სექტემბერს 17:00 საათზე;
4.საბუთების მიღება განხორციელდეს უნივერსიტეტის I კორპუსის II სართულზე, №214 ოთახში, 10:00 საათიდან - 17:00 საათამდე,
5. კონკურსის ჩატარების დღედ განისაზღვროს 2023 წლის 12 სექტემბერი;
6. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს იურიდიული სამსახურის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსს (ქ. ხმალაძე);
7.დაევალოს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს (ს. რამაზაშვილს) განცხადების გაზეთში გამოქვეყნება;
8.დაევალოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს (ნ. კახაშვილი) ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე;
9.დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის საინფორმაციო დაფაზე;
10. ბრძანების ასლი გადაეცეს უნივერსიტეტის ფაკულტეტებს;
11. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;
12.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თელავის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ.თელავი, დავით აღმაშენებლისგამზირი N41).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების
სამინისტრო

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები
სსიპ – იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
რექტორი
ჭკადუა შალვა